განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს - ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ევროპის უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201954956
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ტურიზმი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ტურიზმის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	1015
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან სეთურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზურაბ ჯანხოთელი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შესაფასებლად წარმოდგენილი ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ტურიზმის ბაკალავრი 1015) 240 ECTS კრედიტს მოიცავს.

პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების მიხედვით. პროგრამის მოცულობა არის 240 კრედიტი და მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს 166 კრედიტით, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებს 15 კრედიტით, თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო სასწავლო კურსებს 49 კრედიტით. თავისუფალ კომპონენტების არჩევით კურსებს 10 კრედიტით. ევროპის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა არის ახალი და წარმოდგენილია აკრედიტაციის მიზნით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა დისტანციურად Zoom-ის პლატფორმის საშუალებით, 2021 წლის 17 დეკემბერს. შეფასებამდე, ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დააორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს.

დისტანციური შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ვიზიტის განმავლობაში უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ დისტანციური რეჟიმის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1, 2.1, 2.2, 2.4, 2.5, 2.6 3.1, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5,1, 5.2 შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, ხოლო 1.2, 2.3 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. გამომდინარე აქედან პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდირებულია დაიხვეწოს სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური მიმართება და ასევე დახვეწას ექვემდებარება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) განვითარების ლოგიკა;

2. რეკომენდირებულია საბაკალავრო პროექტის შესრულების მონიტორინგის გაძლიერება, იმისათვის რათა საბაკალავრო ნაშრომის შესრულება მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესის მიხედვით;
3. რეკომენდირებულია როგორც საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესში ასევე საბაკალავრო პროექტის სილაბუსში მკაფიოდ იყოს მოცემული საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სტრუქტურა.
4. ინფორმაციული ტექნოლოგიების პრაქტიკული უნარების გაძლიერების მიზნით რეკომენდებულია: სასწავლო კურსს „ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში" დაემატოს პრაქტიკული კომპონენტი, რაც უზრუნველყოფს ტურიზმის სფეროს ამოცანების გადაწყვეტას Excel-ის გამოყენებით, ასევე დაკორექტირდეს სასწავლო კურსის „სტატისტიკა ტურიზმში" სილაბუსი და მასში აისახოს Excel-ის სწავლება სპეციფიკის გათვალისწინებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია უფრო მეტი საბიბლიოთეკო რესურსი გაციფრულდეს, მოცემული პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით და ასევე მნიშვნელოვანია სამომავლოდ დამატებითი პერსონალური კომპიუტერებით აღიჭურვოს აღნიშნული სივრცე.
2. სასურველია უსდ-მ ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით მიაწოდოს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ სტუდენტებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჩართოს სხვა დამატებითი მექანიზმები ამ პროცესში.
3. სასურველია უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება მიაქციოს სტუდენტთა ელექტრონული პორტალის ფუნქციონირებას.
4. სასურველია აკადემიურ პერსონალს დაემატოს ასისტენტ-პროფესორი ან ასისტენტი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ტურიზმის კომპლექსური საკითხების, თეორიების და პრინციპების კრიტიკული გააზრება. ტურიზმის ინდუსტრიის დარგობრივი სტრიქტურის პოლიტიკის, მართვისა და დაგეგმვის საკითხების ცოდნის უზრუნველყოფა. ასვე პროგრამის მიზანია განუვითაროს პრაქტიკული, ანალიტიკური უნარი და გამოუმუშავოს ტურიზმის სფეროში პრობლემების იდენტიფიცირებისა და დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი სოციალური-ეკონომიკური ასპექტების და ეთიკური ნორმების გათვალისწინებით. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს. პირველია სტუდენტების თეორიული ცოდნის უზრუნველყოფა, მეორე - პრაქტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარება და მესამე პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების მოძიება. ამგვარად პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რეალისტურია, ვინაიდან დაწესებულებას გააჩნია საკმარისი ადამიანური, ფიზიკური რესურსი პროგრამის განსახორციელებლად. მიზნის ფორმულირებისას მკაფიოდ ჩანს თუ რა ცოდნას მიიღებს კურსდამთავრებული და რა კომპეტენციებით და უნარებით იქნება აღჭურვილი. პროგრამის მიზანი შესაბამისობაში უნივერსიტეტის მისიასთან. მიზნების ფორმულირებისას გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები. კერძოდ უნივერსიტეტმა განახორციელა შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი. შედეგად მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულია პროგრამის შემუშავების პროცესში. უნივერსიტეტს გააჩნია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული

განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტს. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას ავითარებენ სამი მიმართულებით: სწავლება-სწავლის პროცესის ინტერნაციონალიზაცია; ექსტრა-კურიკულარული აქტივობების ინტერნაციონალიზაცია და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია. ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; • დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი, პროგრამის შემუშავების პროცესში მათი გათვალისწინება -გამოყენების ანგარიში; • საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიში • მემორანდუმები; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის მიზნებმა განსაზღვრეს პროგრამის სწავლის შედეგი. პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებისასა გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები. პროგრამაში მოცემულია 9 სწავლის შედეგი. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა მოცემულია პროგრამაში მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის საშუალებით. სწავლის შედეგები არის გაზომვადი. სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებულია აქტიური ზმნები. სწავლის შედეგები მიღწევადია და რეალისტური, ვინაიდან გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, ხოლო უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ადამიანური და ფიზიკური რესურსები სწავლის შედეგების მისაღწევად. სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების მიმართება მოცემულია სწავლის შედეგების რუკის სახით.

თითოეული სასწავლო კურსი სწავლის შედეგებს ავითარებს გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონით. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკური კავშირი საგნებსა და სწავლის შედეგებს შორის შეიმჩნევა. თუმცა, ვხვდებით ისეთ მიმართებას, რომელიც საჭიროებს დახვეწას. დახვეწას საჭიროებს, როგორც სასწავლო კურსებსა და სწავლის

შედეგებს შორის მიმართების კუთხით, ასევე თუ რა დონეზე ავითარებს კონკრეტული სასწავლო კურსი კონკრეტულ სწავლის შედეგს.

კერძოდ, ბუნდოვანია კალკულუსის, ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმის, პროექტების მართვის სასწავლო კურსსა და სწავლის შედეგს ,,აღწერს ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული ფუნქციონალური სფეროების არსებით ფაქტორებს, თეორიებს, კონცეფციებს, პრინციპებსა და ტურისტული საქმიანობის პროცესებს; ასევე, ტურიზმის სფეროს ეკონომიკურ მახასიათებლებს, ეკონომიკურ ზეგავლენას, ფინანსურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ, სოციალურ-კულტურულ, ეკოლოგიურ საკითხებს" შორის მიმართება.

პროგრამის სწავლის შედეგების რუკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტით ხდება პირველი სწავლის შედეგის განმტკიცება, ხოლო სასტუმროს მენეჯმენტით გაცნობა. მაშინ როდესაც სასტუმროს მენეჯმენტი ისწავლება ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის შესწავლის შემდეგ. ხოლო პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების ლოგიკა არის შემდეგი: ჯერ ხდება გაცნობა, შემდეგ გაღრმავება და ციკლი მთავრდება განმტკიცებით. გარდა ამისა, ბუნდოვანია თუ რატომ ხდება პროექტის მართვით პირველი, მეოთხე, მეექვსე და მეშვიდე სწავლის შედეგის გაცნობა, მაშინ როდესაც სასწავლო კურსის ,პროექტის მართვის" ფარგლებში სტუდენტები ამზადებენ პროექტს და აკეთებენ პრაქტიკულ სავარჯიშოებს. ამასთან სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკის ცხრილში მოცემულია, რომ პროექტის მომზადებასა და სწავლის შედეგს შორის კავშირი არის მაღალი.

ბუნდოვანია მესამე სწავლის შედეგზე როგორ გადის ბიზნესის საფუძვლები და ბიზნესის საფუძვლები რატომ აღრმავებს მაშინ, როდესაც ფინანსების საფუძვლები, სასტუმროს მენეჯმენტი და ტუროპერეიტინგი აცნობს.

მეოთხე სწავლის შედეგი შემდეგნაირად არის ფომულირებული: ,,აანალიზებს ტურისტული მიმართულების პოზიციონირების სტრატეგიულ მიდგომებს მიზნობრივ

ბაზრებთან მიმართებაში; ტურისტული დანიშნულების ადგილს განიხილავს, როგორც რეგიონული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას; ახდენს ტურიზმის ინდუსტრიის სტრუქტურაში შემავალი ერთეულების/სუბიექტების კლასიფიკაციას". ბუნდოვანია ბიზნესის კვლევის მეთოდები და ტურიზმის სტატისტიკა როგორ გადის ამ სწავლის შედეგზე.

ასევე ბუნდოვანია შემდეგ სასწავლო კურსებსა ,,ფინანსების საფუძვლები", ,,უსაფრთხოება ტურიზმში", ,,ტურიზმის პოლიტიკა-სამართლებრივი რეგულირება", ადამიანური რესურსების მართვა" და მეხუთე სწავლის შედეგს შორის კავშირი. აქაც დარღვეულია გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცების ლოგიკა.

ბუნდოვანია შემდეგი სასწავლო კურსების ,,ბიზნესის საფუძვლები, მაკროეკონომიკა, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, ადამიანური რესურსების მართვა, დარგობრივი ინგლისური, ექსკურსიათმცოდნეობა, გიდის ხელოვნება და ტურიზმის პოლიტიკა-სამართლებრივი რეგულირება" კავშირი მეექვსე სწავლის შედეგთან.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები; პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის; ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება; პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალთან გასაუბრებისას ვლინდება, რომ ისინი იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგი;

- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია დაიხვეწოს სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური მიმართება და ასევე დახვეწას ექვემდებარება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) განვითარების ლოგიკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

0 გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს უნივერსიტეტში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე პირებს , კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ , უფლება აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩაირიცხონ უნივერსიტეტში. აღნიშნულმა პირებმა უნდა დაადასტურონ ქართული ენის ფლობა B2 დონეზე.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან/და გარე მობილობის ფარგლებში გადასვლის წესით ჩარიცხვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ (24.01.2012 12/ნ)“, 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით.

საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების და საგამოცდო საკითხების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციების დადგენის წესი;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ გვერდი: https://www.eu.edu.ge/ge

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
○

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების მიხედვით. პროგრამის მოცულობა არის 240 კრედიტი და მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს 166 კრედიტით, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებს 15 კრედიტით, თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო სასწავლო კურსებს 49 კრედიტით. თავისუფალ კომპონენტების არჩევით კურსებს 10 კრედიტით. მცირე დოზით წარმოდგენილია ბიზნესის სფეროს სასწავლო კურსები. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ სასწავლო პრაქტიკა და მოამზადონ საბაკალავრო პროექტი. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები წარმოდგენილია ტურიზმის სფეროს საგნებით: ,,საქართველოს გეოგრაფია, ტურიზმის საფუძვლები, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული, რესურსები, ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა, დარგობრივი ინგლისური, ტურიზმის მარკეტინგი, ექსკურსიათმცოდნეობა და გიდის ხელოვნება, სტატისტიკა ტურიზმში, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, სასტუმროს მენეჯმენტი, ტურიზმის ეკონომიკა, ტუროპერეიტინგი, ტურიზმის პოლიტიკა-სამართლებრივი რეგულირება, ტრანსპორტის ინდუსტრია ტურიზმში, უსაფრთხოება ტურიზმში, დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი“ და ბიზნესის სფეროს აუცილებელი საგნებით. ამგვარად, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მოცულობა და კომპლექსურობა

შეესაბამება სწავლების საფეხურს და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია ახალი კვლევის შედეგები და სფეროს თანამედროვე მიღწევები; მაგალითად, საქართველოს გეოგრაფია, ტუროპერეიტინგი, ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა. გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ პროგრამის შემუშავებისას ჩართული იყო დაინტერესებული მხარეები: აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დამსაქმე ბლები, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები. დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, კერძოდ პროგრამის კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საგანმა ნათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების დებულება; ● ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ● დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრება; ● სასწავლო კურსების სილაბუსები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
○

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, ასევე თავისუფალ კომპონენტებს. ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირებისას გათვალისწინებულია გაზომვადობის პრინციპები აქტიური ზმნების გამოყენებით.

თითოეული სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; ზოგიერთი კურსის შემთხვევაში,

საჭიროებიდან გამომდინარე დამატებულია საკონტაქტო საათები, კერძოდ ასეთია ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ და ბიზნესის კვლევის მეთოდები. ასევე დიდი მოცულობით საკონტაქტო საათები ეთმობა უცხო ენების შესწავლას.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსთან და საფეხურთან. სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სწავლის შედეგებს, ასევე, მითითებული ლიტერატურა შეესაბამება დარგის აქტუალურ მიღწევებს. სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასწავლო კურსების ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც სალექციო საათები ასევე პრაქტიკული მეცადინეობები.

ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში აღნიშნულია, რომ „ტურიზმის სექტორის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისების უნარზე“, ამიტომ პროგრამაში ინფორმაციული ტექნოლოგიების პრაქტიკული უნარების გაძლიერების მიზნით რეკომენდებულია: სასწავლო კურსში „ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში“ დაემატოს პრაქტიკული კომპონენტი, რაც უზრუნველყოფს ტურიზმის სფეროს ამოცანების გადაწყვეტას Excel-ის გამოყენებით, ასევე დაკორექტირდეს სასწავლო კურსის „სტატისტიკა ტურიზმში“ სილაბუსი და მასში აისახოს Excel-ის სწავლება სპეციფიკის გათვალისწინებით, რისი აუცილებლობაც ინტერვიურების დროს დაადასტურეს წარმოდგენილი სასწავლო კურსების ავტორებმა.

პროგრამის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია საბაკალავრო პროექტი, რომელიც განისაზღვრა 5 კრედიტით. საბაკალავრო პროექტის მომზადების წესები მოცემულია როგორც სილაბუსში, ასევე დაწესებულებას აქვს შემუშავებული საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი, რომელიც დამტკიცებულია 2020 წელს. ამ წესის მეშვიდე მუხლი განსაზღვრავს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის გაფორმების წესს. თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომების შესწავლისას (4 საბაკალავრო ნაშრომი 2020

წელს იყო შესრულებული, ხოლო ერთი 2021 წელს) გამოვლინდა წესთან გარკვეული შეუსაბამობა, რაც საჭიროებს საბაკალავრო ნაშრომების შესრულების მონიტორინგის გაძლიერებას, იმისათვის რათა საბაკალავრო ნაშრომები წესის მიხედვით იყოს შესრულებული. გარდა ამისა, ამ წესის მეშვიდე მუხლის პირველ პუნქტში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების სტრუქტურა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, რომლის მნიშვნელოვანი კომპონენტია კვლევის მეთოდები. მითუმეტეს, რომ პროგრამის ფარგლებში ისწავლება კვლევის უნარების განმავითარებელი ისეთი სასწავლო კურსი როგორიცაა ,,ბიზნესის კვლევის მეთოდები", რომელსაც ეთმობა საკონტაქტო საათების შედარებით მეტი დრო და ,,ტურიზმის სტატისტიკა".
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; • აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგები; • მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები • სასწავლო კურსის სილაბუსები
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია საბაკალავრო პროექტის შესრულების მონიტორინგის გაძლიერება, იმისათვის რათა საბაკალავრო ნაშრომის შესრულება მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესის მიხედვით; ○ რეკომენდირებულია როგორც საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესში ასევე საბაკალავრო პროექტის სილაბუსში მკაფიოდ იყოს მოცემული საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სტრუქტურა. ○ ინფორმაციული ტექნოლოგიების პრაქტიკული უნარების გაძლიერების მიზნით რეკომენდებულია: სასწავლო კურსს „ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში" დაემატოს პრაქტიკული კომპონენტი, რაც უზრუნველყოფს ტურიზმის სფეროს ამოცანების გადაწყვეტას Excel-ის გამოყენებით, ასევე დაკორექტირდეს სასწავლო კურსის „სტატისტიკა ტურიზმში" სილაბუსი და მასში აისახოს Excel-ის სწავლება სპეციფიკის გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც უკვე აღვნიშნეთ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმილირებისას გათვალისწინებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგები და დამსაქმებლების მოსაზრება. დამსაქმებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დაინტერესებულნი არიან რომ პროგრამამ უზრუნველყოს პრაქტიკული უნარების გამომუშავება. სწორედ ამ მოსაზრების გათვალისწინებით შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგები.

○ პრაქტიკული უნარების გამომუშავება ხდება ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლ ბში. მაგალითად, მარკეტინგის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა, პროექტების მართვა, ტურიზმის მარკეტინგი, ექსკურსიათამცოდნეობა და გიდის ხელოვნება, ბიზნესის კვლევის მეთოდები და.აშ. კერძოდ ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები ამზადებენ პროექტებს და ახდენენ მათ პრეზენტაციას. ასევე სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით აკეთებენ პრაქტიკულ სავარჯიშოებს. ○ პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების გავლით მიღებულ ცოდნას და მიდგომებს სტუდენტები იყენებენ საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისას. პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების კუთხით უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური კონფერენციები. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში. ○ პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით დაწესებულებას გააჩნია ტურიზმის მიმართულებით სიმულაციური ლაბორატორია (სივრცე-კაბინეტი), რომელიც აღჭურვილია ტურისტული ინვენტარით, რუკებით, სახელმძღვანელოებით, სათანადო აღჭურვილობებით და ტექნიკით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები; ○ დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგი; ○ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების შედეგი; ○
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება 0 გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება შესაბამისი სწავლის მეთოდები და აქტივობები. კერძოდ სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლისას გამოვლინდა, რომ სასწავლო კურსის ფარგლებში გამოიყენება ლექცია და სამუშაო ჯგუფში მუშაობა. ლექციის ფარგლებში გამოიყენება შემდეგი აქტივობები: ახსნა-განმარტება, ინტერაქტიული მუშაობა, აუდიო-ვიზუალური მუშაობა, დემონსტრირება. სამუშაო ჯგუფში მუშაობის ფარგლებში გამოიყენება შემდეგი აქტივობები: გონებრივი იერიში (Brainstorming); დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; კარტოგრაფიული მეთოდით მუშაობა; ჯგუფური (collaborative)/თანამშრომლობითი მუშაობა; სავარჯიშოებზე მუშაობა; შემთხვევის შესწავლა (Case Study); სიმულაციურ/სიტუაციურ ამოცანებზე

მუშაობა/როლური თამაში; დავალებაზე დაფუძნებული სწავლება (Task-Based Learning – TBL); წიგნზე (წყაროზე) მუშაობა და წერითი მუშაობა; ელექტრონული რესურსით სწავლება (E-learning); პრეზენტაცია; პროექტის მომზადება და/ან პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project-Based Learning); რეფერატი. ზოგიერთი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში, სააუდიტორიო მუშაობისას ინტენსიურად გამოიყენება პრაქტიკული სიტუაციური მაგალითების განხილვა. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა. სადაც მოცემულია სწავლება-სწავლის მეთოდებისა/აქტივობებისა და სწავლის შედეგებს შორის მიმართება. კავშირი სწავლება/სწავლა აქტივობებსა და სწავლის შედეგებს შორის განისაზღვრება სამი დონით: მაღალი, საშუალო და დაბალი. აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად პროგრამის ფარგლებში, თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრულია ლექტორთან დამატებითი კონსულტაციებისთვის გამოყოფილი დრო და ადგილი, კვირაში 2 საათი თითოეულ სასწავლო კურსში. საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● სწავლა-სწავლების მეთოდები ● ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ● სასწავლო კურსების სილაბუსები ● პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგი; ● სტიდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება 0 გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას იდენტიფიცირებული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. არსებულის შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, თანმიმდევრულად, გამჭირვალედ, არის სამართლიანი და სრულად შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. ევროპის უნივერსიტეტი მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტზე და უზრუნველყოფს სწავლის შედეგებისა და სწავლის პროცესის გამჭირვალობას. უსდ ხელმძღვანელობს ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონითა და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების“ დამტკიცებული წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) შეფასების 100 ბალიანი სისტემით, რომელიც ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, სადაც დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს. მოცემული მექანიზმი და მასთან დაკავშირებით არსებული

რეგულაციები ნათლადაა გაწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებთან.

საგანმანათლებლო სასწავლო კურსის სილაბუსებში მკაფიოდაა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების ცოდნის შეფასების სისტემა. აქვე მოცემულია ზემოხსენებული პროცედურის მეთოდები, ფორმები და კრიტერიუმები. თითოეული აღნიშნული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტი წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის. პროგრამაში არსებული ყველა სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და სილაბუსების მიხედვით:

დაუშვებელია სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოხდეს მხოლოდ შეფასების ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს, როგორც შუალედურ, ისე დასკვნით შეფასებებს;

დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსისთვის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს საერთო შეფასების 40 %-ისა;

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (0-100 ქულა) მკაფიოდ აქვს გამიჯნული შუალედური და დასკვნითი შეფასებები;

შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით (რუბრიკით);

უნივერსიტეტი შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრავს შემდეგ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს ამ მოცემულობით: შუალედური შეფასების 30% და დასკვნითი შეფასების 50%.

სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს შუალედური შეფასების წერით (სასაწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული ტესტი, ესე/ესეი, პრეზენტაცია, წერითი დავალება, კაზუსის ამოხსნა/ქვიზი და სხვა.) კომპონენტში მიღებული შეფასება.

შეფასების ფორმები და კრიტერიუმები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას: ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. უნივერსიტეტი ვალდებულია დანიშნოს დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

უსდ-ში არსებული საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს შუალედური და დასკვნითი გამოცდების წერითი კომპონენტების ჩატარებას, ორგანიზებას, რომლის სამუშაო აღწერილობითაც განსაზღვრულია გასაჩივრების სისტემა, რაც ითვალისწინებს საპრეტენზიო კომისიების შექმნას სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისად. ზემოხსენებული რეგულირდება „საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესის“ მიხედვით (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №62 ბრძანებით).

საბაკალავრო პროექტის შეფასება ხორციელდება შუალედური (60 ქულა) და დასკვნითი შეფასების (40 ქულა) ფორმებით, მოცემული კურსის შუალედური შეფასების კრიტერიუმებია: პროექტზე მუშაობის პროცესში სტუდენტის აქტივობა (40 ქულა), რეცენზენტის შეფასება (10 ქულა) და ხელმძღვანელის საბოლოო შუალედური შეფასება (10 ქულა). შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 30%. დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტია საბაკალავრო პროექტის დაცვა (40 ქულა), რომელიც თავის მხრივ ჩაშლილია ქვე კომპონენტებად: ფორმალური მხარე (10 ქულა), შინაარსობრივი მხარე (20 ქულა) და პრეზენტაციის ტექნოლოგია (10 ქულა). საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასების ჯამს. საბაკალავრო ნაშრომს განიხილავს კომისია, რომლის შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრების შეფასებათა საშუალო არითმეტიკულს. საბაკალავრო პროექტის დაცვაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

ევროპის უნივერსიტეტში საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია განთავსებულია უსდ-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე: www.eu.edu.ge/ge/legal-acts

საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკის კურსი ითვალისწინებს შუალედურ (60 ქულა) და დასკვნით (40 ქულა) შეფასებებს. მიმდინარე შეფასება (60 ქულა) შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: ყოველკვირეული აქტივობების შეფასება მენტორის მიერ (30 ქულა), პრაქტიკული დავალება (20 ქულა) და პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასება (10 ქულა). ხოლო დასკვნითი თავის მხრივ მოიცავს: შესრულებული პრაქტიკის შეჯამება (10 ქულა), საწარმოს/ორგანიზაციის აღწერა (5 ქულა), პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი (10 ქულა), დასკვნები (5 ქულა), დანართი (5 ქულა) და პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია (5 ქულა).

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუსა და წარმოდგენილ დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი და გამჭირვალეა, ასევე, ისინი დროულად ღებულობენ ინფორმაციას შეფასებების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში სწრაფია რეაგირება პედაგოგისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ტურიზმი;
- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი www.eu.edu.ge/ge/legal-acts
- ევროპის უნივერსიტეტის საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი;
- პრაქტიკის კომპონენტის შესრულების და შეფასების წესი;
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი;
- სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა: www.eunsis.eun.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეუ-ს სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას, ასევე, მათ აქვთ კარიერულ განვითარებასთან მიმართებით მხარდაჭერა. მითითებულ საკითხებს ევროპის უნივერსიტეტში ძირითადად არეგულირებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და „საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი“. მოცემული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე სხვა ნებისმიერი დაინტერესებული პირებისთვის. აღსანიშნავია, რომ ყველა მნიშვნელოვანი უნივერსიტეტის თუ ფაკულტეტის დებულებები, წესები და რეგულაციები განთავსებულია უსდ-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. უნივერსიტეტში არსებული ონლაინ სისტემები საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ დროული და ადეკვატური ინფორმაცია საკუთარ მიღწევებთან, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ასევე დაამყარონ კომუნიკაცია პედაგოგთან, ადმინისტრაციასთან, იხილონ აკადემიური ჯგუფის ცხრილი, აკადემიური კალენდარი და სხვა. ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები აქტიურად იღებენ მონაწილეობას უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ გამოკითხვაში, რომელიც უკავშირდება საგნის ლექტორებს, სასწავლო კურსებს, საგამოცდო პროცესებსა და ადმინისტრაციის მუშაობის შეფასებას, რისი მიზანიცაა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება. ამავე ეგიდით უნივერსიტეტი იყენებს 360 გრადუსიან შეფასების სისტემას, რაც უზრუნველყოფს რელევანტური ინფორმაციის ფლობას არსებულ სიტუაციაზე. საბიბლიოთეკო სისტემა მეტად მოქნილია და მორგებულია უნივერსიტეტის მოსწავლეთა მოთხოვნებზე. საწიგნო ფონდი საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ვერსიებით. **აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია უფრო მეტი საბიბლიოთეკო რესურსი გაციფრულდეს, რათა მსურველებმა დისტანციურად შეძლონ მისი წაკითხვა, დამუშავება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით. საბიბლიოთეკო სივრცეები**

აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებითა და ლეპტოპებით, თუმცა მათი რაოდენობა არ არის საკმარისი წინასაგამოცდო, საპრეზენტაციო პერიოდში შეძლო გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებლად (ამ ეტაპზე წარმოდგენილია 10 პერსონალური კომპიუტერი და 4 ლეპტოპი). ინტერვიუების დროს სტუდენტები, ასევე კურსდამთავრებულები დადებითად აფასებდნენ პანდემიის პერიოდში ონლაინ განხორციელებული სასწავლო პროცესის წარმართვას, ხაზი გაუსვეს ონლაინ ჩატარებული გამოცდების ტექნიკურ გამართულობას. ისინი, შეუფერხებლად ღებულობენ კონსულტაციებს მათთვის საჭირო თემებზე ადმინისტრაციის წარმომადგენლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან. მოცემულ საკითხზე ინფორმაცია იდება, ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზებში, აქტიურად გამოიყენება ასევე ელ. ფოსტაც და სოციალურ ქსელებში უსდ-ს ოფიციალური გვერდები.

ევროპის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს სტუდენტთა დასაქმება და კარიერული განვითარების ხელშეწყობა. არსებული სამსახურის ქუდქვეშ შექმნილია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ვაკანსიების ბაზა. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ მოცემული სტრუქტურა ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს, ტრენინგებს დასაქმების კუთხით და აწვდის მუდმივად განახლებულ ინფორმაციას გამოცხადებული ვაკანსიების, სტაჟირებების, შესახებ. **აქვე რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ მოცემული ვაკანტური ადგილები ძირითადად არ უკავშირდება ტურიზმს, თუმცა საერთო ჯამში მათთვის მისაღებია უნივერსიტეტის ძალისხმევა ამ კუთხით.** ცენტრი სთავაზობს სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს სხვადასხვა საჯარო ლექციებსა და კურსებს კარიერული კომპეტენციის ამაღლებისა და საჭირო უნარ ჩვევების გამომუშავების მიზნით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, როგორც კერძო დამსაქმებლებთან ასევე საჯარო სტრუქტურულ ერთეულებთან, იგი მეტად დადებითი ფაქტია, რადგან პროგრამის ფარგლებში სტუდენტები თავისუფლად შეძლებენ სტაჟირების გავლას, რაც უკავშირდება სავალდებულო კურსს „პრაქტიკა“-ს. ზემოხსენებული სამსახური ზედამხედველობას უწევს, სტუდენტთა პრაქტიკის პროცესს, უზრუნველყოფს კავშირს პრაქტიკის ობიექტებთან, მონაწილეობს დასაქმების ფორუმებში, თემატურ კონფერენციებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუების მეშვეობით გამოაშკარავდა, რომ უსდ ცდილობს ხელი შეუწყოს სტუდენტების მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების წარმოჩენასა და სოციალურ/კულტურულ აქტივობას, როგორც უნივერსიტეტში ასევე მის ფარგლებს გარეთაც. დაწესებულებაში ხორციელდება სტუდენტთა მოთხოვნებზე ორიენტირებული ღონისძიებები სხვადასხვა მიმართულებით: კულტურის, სპორტის და სხვა აქტივობები: **ტრენინგ-სემინარები, საჯარო ლექციები, სემინარ დისკუსიები, მრგვალი მაგიდები, შემეცნებით გასვლითი ექსკურსიები და აგრეთვე ფუნქციონირებს ტურიზმის სიმულაციური ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია მნიშვნელოვანი სალაშქრო და გასვლითი ტურების ინვენტარით.** იგი ეხმარება დაინტერესებულ სტუდენტებს, როგორც ამ ინსტრუმენტების ვიზუალურ აღქმაში, ასევე მათი ფუნქციებისა და დანიშნულებების შესწავლაში, რაც მეტად დადებითი ფაქტია.

გამოკითხვის შედეგების შესწავლისას გამოვლინდა, რომ სტუდენტები ითხოვენ სპორტულ და კულტურული ღონისძიებების უფრო აქტიურ მხარდაჭერასა და განვითარებას.
ევროპის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის, სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობის წახალისებას. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ზემოაღნიშნულ აქტივობებში, ინფორმაცია მოცემულ საკითხზე ვრცელდება ელექტრონულ ფოსტასა და ოფიციალურ სოციალურ ქსელებში. იგი დადასტურდა, როგორც დოკუმენტებისა და უნივერსიტეტის ინტერნეტ პლატფორმების შესწავლით, ასევე ინტერვიუებით.

უსდ-ში არსებობს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში მისი ცნობადობის ამაღლებას და პასუხისმგებელია საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარება, გაღრმავებაზე. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ერასმუს+ გაცვლითი პროგრამებით და განათლება მიიღონ უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში, რაზეც მათ კოორდინაციას უწევს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ერასმუს მობილობის მენეჯერი. მოცემული დადასტურდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინტერვიეუებით. **უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებში მოსწავლეების მხრიდან გამოითქვა გარკვეული პრეტენზიები გაცვლითი პროგრამის სტუდენტთა შესარჩევი პროცესის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.**

ევროპის უნივერსიტეტი სტუდენტებთან კავშირის დასამყარებლად იყენებს სხვადასხვა საშუალებებს, კერძოდ, საინფორმაციო დაფებს, ელექტრონულ მეილების, ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელებს. თუმცა უმჯობესი იქნება მოცემულ არხებს დაუმატოს სხვა საკომუნიკაციო საშუალებებიც ან არსებობის შემთხვევაში გაზარდოს მისი გამოყენების ინტენსივობა (მაგ. მოკლეტექსტური შეტყობინებები და სხვა). **გამოიკვეთა, რომ სტუდენტურ ელექტრონულ პორტალს გააჩნია გარკვეული ხარვეზები და საჭიროებს დახვეწას.** კერძოდ აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ დიდი ზომის ფაილების ატვირთვას ლექტორები ვერ ახერხებენ და უწევთ აღნიშნულის დანაწევრება ან სხვა უნივერსიტეტის გარე პლატფორმებზე გატანა. ასევე ხაზი გაესვა იმ ფაქტსაც, რომ უმჯობესი იქნებოდა მოცემული სისტემის მეშვეობით სტუდენტებთან კომუნიკაციის პროცესის დროს ელექტრონული წერილების გაგზავნისას შესაძლებლობა იყოს სასწავლო ფაილების გაზიარების, რაც ამ ეტაპზე არ არსებობს. **მეტად დადებითად შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტურ სისტემაში განცხადებების ელექტრონული განთავსების, დამუშავებისა და უკუკავშირის მიღების ფუნქცია, რომელიც აქტიურია სტუდენტებისთვის.** სტუდენტები და კურსდამთავრებულები ინტერვიუებში გარკვეულწილად კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ინფორმაციის გავრცელების ინსტრუმენტების მიმართ.

პოზიტიური ფაქტია ისიც, რომ გასაუბრებისას რესპოდენტებმა ხაზი გაუსვეს პანდემიის პირობებში ონლაინ ლექციებისა და გამოცდების შეფერხებების გარეშე მიმდინარეობას,

ხოლო ასეთის დაფიქსირების შემთხვევაში დაწესებულება თავის მხრივ მყისიერად ახდენს მოქმედებას და პრობლემის აღმოფხვრას.
ინტერვიუების მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ სტუდენტები ფლობენ საკმარის ცოდნას გასაჩივრებებისა და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ, რაზეც რეაგირებას უნივერსიტეტი დროულად და ადეკვატურად ახდენს. მოცემული ინფორმაცია განთავსებულია საჯაროდ და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. არსებულ საკითხს არეგულირებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.

- **მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ტურიზმი;
- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი www.eu.edu.ge/ge/legal-acts
- ევროპის უნივერსიტეტის საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი;
- ევროპის უნივერსიტეტის დებულება;
- ევროპის უნივერსიტეტის ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსი;
- პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები;
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის, ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტი;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ გვერდი: www.eu.edu.ge
- ევროპის უნივერსიტეტის საკომუნიკაციო ელექტრონული პლატფორმა: www.moodle.edu.ge/moodle
- სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა: www.eunsis.eun.edu.ge
- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები (სტუდენტების, პერსონალის);
- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

○ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია უფრო მეტი საბიბლიოთეკო რესურსი გაციფრულდეს, მოცემული პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით და ასევე მნიშვნელოვანია სამომავლოდ დამატებითი პერსონალური კომპიუტერებით აღიჭურვოს აღნიშნული სივრცე.

- სასურველია უსდ-მ ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით მიაწოდოს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ სტუდენტებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჩართოს სხვა დამატებითი მექანიზმები ამ პროცესში.
- სასურველია უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება მიაქციოს სტუდენტთა ელექტრონული პორტალის ფუნქციონირებას, უზრუნველყოს მისი მუდმივი მხარდაჭერა და განახლება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
○

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან	√			

ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 36 პერსონალი, მათ შორის, 19 აკადემიური პერსონალი (9 პროფესორი (5 აფილირებული) და 10 ასოცირებული პროფესორი (5 აფილირებული) და 17 მოწვეული პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების და მეთოდოლოგიის შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანამდებობაზე პირის მიმართ ძირითადი მოთხოვნები განისაზღვრება ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის N86 „პერსონალის შერჩევის წესის“ ბრძანებით. ამ ბრძანების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური ან მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც გააჩნიათ სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათი CV-ები, გამოცემული სამეცნიერო სტატიები, მონაწილეობა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ტრენინგებში და სხვა.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. უსდ-ს მიერ შემუშავებული პერსონალის დატვირთვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს ყოველ სემესტრულად პერსონალის დატვირთვის სქემის მომზადებას, ასევე, მხედველობაში მიიღება დატვირთვა სხვა უსდ-ში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა, კომპეტენცია და უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში, უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 12 მარტის „ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ №52 ბრძანების შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი მოვალეობაა უხელმძღვანელოს პროგრამის შემუშავების, განვითარებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცესს; უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის ხელმძღვანელობა; კოორდინაცია გაუწიოს საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის წევრების მუშაობას; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან კოორდინაციის ფარგლებში უზრუნველყოს პროგრამის მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვა; უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოზიდვა; გაუწიოს კოორდინაცია არსებული სილაბუსების გადახედვას, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის პირებთან კოორდინაციით, როგორც შინაარსობრივი, ასევე ტექნიკური დეტალების დახვეწას ან შეცვლას; გაუწიოს კოორდინაცია სასწავლო მასალების და რიდერების გადახედვა და შესაბამის პირებთან კოორდინაციით, მათი სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას; უზრუნველყოს, საჭიროებისას, შეფასების არსებული სისტემის გადახედვა და სხვა. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების მომსახურებას საჭირო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; • „პერსონალის შერჩევის წესი“ ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის N86 ბრძანება; • „ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 12 მარტის №52 ბრძანება; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; • აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგები;

- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ სასურველია აკადემიურ პერსონალს დაემატოს ასისტენტ-პროფესორი ან ასისტენტი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში არსებული პერსონალის მართვის სტრატეგიული მიზნები და შეფასების სისტემა ითვალისწინებს პერსონალის პროფესიულ განვითარებას და მათ სამეცნიერო/კვლევით საქმიანობის განხორციელების პროცესში მხარდაჭერას.

უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევები უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ სერვისებთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტში მოქმედებს საქმიანობის შეფასების პროცედურები, როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის (რექტორის 2020 წლის 20 მარტის N83 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეული პერსონალის შეფასების წესისა“, „პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესის“, რექტორის 2020 წლის 20 მარტის №85 ბრძანებით დამტკიცებული „ევროპის უნივერსიტეტის სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურების“ მიხედვით). დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი იღებს წესით განსაზღვრული მოცულობის ანაზღაურებას, რაც უნივერსიტეტის მხრიდან მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ ხელშეწყობად და მხარდაჭერად განიხილება. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით აფასებს მიღებულ შედეგებს, აანალიზებს და ადგენს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებებს და გეგმავს ხელშეწყობის მიმართულებებსა და ხელშეწყობისთვის საჭირო აქტივობებს. აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ევროპის უნივერსიტეტში პირველად განხორციელდა 2018-2019 აკადემიური წლის ბოლოს და მას შემდეგ ხორციელდება ყოველწლიურად.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ევროპის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი, რომელიც პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებას და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, რომელიც უწევს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს კონსულტაციას საგრანტო განაცხადების მომზადებასთან, წარდგენასთან დაკავშირებით. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერაც რეგულარულად ტარდება ტრენინგები პერსონალის საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

უსდ-ში 2016 წლიდან ფუნქციონირებს გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტი, რომლის ბაზაზე 2016 წლიდან რეგულარულად გამოიცემა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“ (https://www.eugb.ge/content.php). ჟურნალი გამოიცემა წელიწადში ორჯერ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ჟურნალი ფიგურირებს მსოფლიოში ცნობილ ისეთ ბაზებში, როგორიცაა

EBSCO, ERIH PLUS, Google Scholar, INDEX COPERNICUS. ჟურნალში კვლევის შედეგების გამოქვეყნება შეუძლიათ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მკვლევრებს, პროფესორებს და სპეციალისტებს. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში წარმოდგენილი არიან საერთაშორისო დონის პროფესორები სხვადასხვა წამყვანი უნივერსიტეტიდან, როგორიცაა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი (გერმანია), ნეგევის ბენგურიონის უნივერსიტეტი (ისრაელი), დაუგავპილსის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ლატვია), ტალინის უნივერსიტეტი (ესტონეთი), ვილნიუსის გედიმინასის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტი (ლიეტუვა), ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა), სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (ჩრდილოეთ მაკედონია), ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიეტი გრინსბოროში (აშშ) და სხვ. უახლოეს მომავალში იგეგმება ჟურნალში „გლობალიზაცია და ბიზნესი“ ინგლისურენოვანი სტატიების წილის გაზრდა და შესაბამისად, უცხოელ რეცენზენტთა აქტიური ჩართულობა ფარული რეცენზირების პროცესში.

ევროპის უნივერსიტეტის, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის აქტიური ჩართულობით, უნივერსიტეტმა მოიპოვა შესაძლებლობა ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს უფასოდ ჰქონოდათ წვდომა „კურსერას“ სერტიფიცირებულ კურსებზე. აღნიშნული განსაკუთრებული შესაძლებლობა იყო უნივერსიტეტის პერსონალისთვის, აემაღლებინათ კვალიფიკაცია მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული პროგრამებისა და კურსების საფუძველზე. პროგრამის ფარგლებში, ევროპის უნივერსიტეტის 24-მა თანამშრომელმა, დაასრულა მათთვის სასურველი არაერთი კურსი, მიიღო საინტერესო გამოცდილება მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორებისგან და მოიპოვა საერთაშორისო სერტიფიკატები, აქედან ორი იყო ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.

უნივერსიტეტის მიერ სისტემატიურად ხორციელდება აკადემიური პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერი ღონისძიებების ორგანიზება და დაფინანსება. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა კვლევებსა და კონფერენციებში. 2020 წელს ინსტიტუტმა პანდემიის პრობლემას მიეძღვნა ოთხი პანელური დისკუსია; 2021 წლის ოქტომბრის დასაწყისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ევროპის უნივერსიტეტის თანაორგანიზატორობით გაიმართა ქუთაისის უნივერსიტეტში, საერთაშორისო კონფერენცია შეეხებოდა კოვიდ 19-თან დაკავშირებულ პრობლემებს.

2021 წლის ივნისში, ხერსონის (უკრაინა) ეკონომიკური და აგრარული უნივერსიტეტის და "ევროპის უნივერსიტეტის" (საქართველო) მიერ გამოიცა საერთაშორისო კოლექტიური მონოგრაფია სახელწოდებით "სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები და მათი განხორციელების მექანიზმები ეკონომიკური დაუცველობისა და გლობალიზაციის ცვლილებების პირობებში" (უნივერსალი, 285 გვ.). სხვა მეცნიერებთან ერთად მონოგრაფიის თანაავტორები არიან ევროპის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი და აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის საქმიანობის შეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგები.
- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები
- ტრეინინგ ცენტრის ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- პროგრამის ხელმძღვანელის CV;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV;
- ვებ-გვერდი
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშები
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://eu.edu.ge/ge.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

0 გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ინფრასტრუქტურა თანამედროვეა. მასში შექმნილია პროგრამის შედეგების მიღწევისათვის შესაბამისი გარემო აუდიტორიები აღჭურვილია კომპიუტერებით და სასწავლო პროცესისათვის სხვა საჭირო ტექნიკით. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა წიგნს. ბიბლიოთეკა ღიაა სტუდენტებისათვის, ასევე პერსონალისთვის ნებისმიერ მსურველს აქვს წვდომა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებთან, კომპიუტერებთან. უნივერსიტეტში გამოყოფილია სივრცე სტუდენტების ჯგუფური მუშაობისთვის უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა. უნივერსიტეტის შენობა აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით. პროგრამისთვის განხორციელებისთვის გამოყოფილია 10 მატერიალურად აღჭურვილი აუდიტორია, საკონფერენციო დარბაზი და 2 ტექნიკურად აღჭურვილი ლაბორატორია. ტურიზმის პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის ფუნქციონირებს ტურიზმის სიმულაციური ლაბორატორია (სივრცე-კაბინეტი), აღჭურვილი ტურისტული ინვენტარით, რუკებით და სახელმძღვანელოებით. ევროპის უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ სამეცნიერო ბაზებზე: EBSCO EP Package ELITE, eIFL, Elsevier - ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის. აღნიშნული ელექტრონული რესურსებით სარგებლობა შესაძლებელია როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ისე უნივერსიტეტის შენობის გარედან. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: http://esu.edu.ge/biblio/opac/index.php. კატალოგში ძიება საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს მოიძიოს ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი ლიტერატურა, სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ორივე კორპუსში, მუშაობს 10:00 საათიდან 20:00 საათამდე, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ევროპის უნივერსიტეტის ტექნიკურად გამართული აუდიტორიები და ლაბორატორიები • ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. • სამეცნიერო ელექტრონული ბაზების სრული ჩამონათვალი უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://eu.edu.ge/ge/library.

- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://esu.edu.ge/biblio/opac/index.php.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://eu.edu.ge/ge.
- გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

0 გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, რომლის ფორმირების და შედგენის პროცესი მიმდინარეობს უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტის „შპს ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურების" შესაბამისად. ბიუჯეტის ფორმირებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანთან ერთად. ბიუჯეტის გადანაწილებაში გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელოვანი და ძირითადი ასპექტების ინტეგრირება, რაც აუცილებელია პროგრამის სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის ახალი, შესაბამისად 2021 წლის ბიუჯეტში არ არის ასახული კონკრეტულად აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები. პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, აღნიშნული გათვალისწინებული იქნება 2022 წლის ბიუჯეტში. თუმცა, უნივერსიტეტის მხრიდან მაინც წარმოდგენილი იქნა პროგრამის წლიური საპროგნოზო საოპერაციო შემოსავალ-ხარჯების მაჩვენებლის გაანგარიშება.

ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვან შემდეგ ხარჯებს: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, მათ შორის: აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამების მიხედვით), ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება; სასტიპენდიო პროგრამები (პროგრამების მიხედვით); სტუდენტური კონფერენციები/ოლიმპიადები; საბიბლიოთეკო ფონდი (წიგნები და ელექტრონული ბაზები - პროგრამების მიხედვით) და ა.შ.
უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია შემდეგი მნიშვნელოვანი ხარჯები: ინტერნაციონალიზაცია/საერთაშორისო ურთიერთობები; სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები; სასწავლო პროცესის მართვის ელ. სისტემის სრულყოფის ხარჯი და ა.შ. ასევე ბიუჯეტში გათვალისწინებულია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან პროფესიული განვითარების ეტაპები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი;
- ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა"-ით (დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის №6 ოქმით).

სამსახური საქმიანობას ახორციელებს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების" შესაბამისად (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №96 ბრძანებით).

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვაში, შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობა მიიღო დაინტერესებულმა მხარეებმა - აკადემიური/მოწვეული პერსონალი, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების პროცესების ეფექტურად განხორციელების მიზნით უნივერსიტეტში შეიქმნა პროგრამის კომიტეტი, რომლის წევრები შერჩეული იყო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან, კომიტეტის წევრი იყო მომიჯნავე პროგრამის სტუდენტიც.. პროგრამის შემუშავების და თვითშეფასების პროცესში ჩართულნი იყვნენ აგრეთვე ფაკულტეტის დეკანი და უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები (სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, იურიდიული სამსახურის უფროსი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის უფროსი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი) რომელთა მხრიდან მოხდა ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისთვის საჭირო, პროგრამასთან დაკავშირებული და მათთვის შესაბამისი მონაცემების, ინფორმაციისა და ანგარიშების, რესურსების მობილიზება-მომზადება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის და პროგრამის კომიტეტისთვის მიწოდება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინირებას უწევდა პროგრამის მომზადების პროცესს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი ესწრება კომიტეტის თითოეულ სხდომას. უშუალოდ არის ჩართული პროგრამის მომზადების პროცესში და კონსულტირებას და მხარდაჭერას უწევს პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში ჩართულ პერსონალს.

იგი ასევე ჩართულია გამოკითხვებისთვის კითხვარის მომზადების პროცესში, კვლევების ჩატარებაში, გამოკითხვების ანალიზში. პროგრამის განვითარების მიზნით ჩატარებულია შეხვედრები და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები.

დამუშავებული შედეგები მიეწოდებათ პროგრამის მომზადებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს - პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის კომიტეტს, ფაკულტეტის საბჭოს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით მოხდა შემდეგი კვლევების ჩატარება: დაინტერესებული მხარეების, კერძოდ დამსაქმებლების, მომიჯნავე სტუდენტების და კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ

მასალებში წარმოდგენილია დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები და ამ გამოკითხვების შედეგების და გამოყენების შესახებ ინფორმაცია.
შემუშავებული პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსია შეფასდა ყველა დაინტერესებული მხარის მიერ. მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდა პროგრამაში სათანადო ცვლილებების განხორციელება და შესაბამისად პროგრამის დახვეწა.
პროგრამის ხელმძღვანელისა და კომიტეტის მიერ გაანალიზდა მიღებული შედეგები და რეკომენდაციები, მოხდა შედეგების განხილვა და მიღებული რჩევების გათვალისწინება (იხ. გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში).
აღსანიშნავია რომ, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით წარმოდგენილ დოკუმენტებში გარდა კვლევებისა და ანალიზისა, წარმოდგენილია დოკუმენტები, რომელშიც ჩანს რეაგირება (რეაგირების ანგარიშები) და მიღებული შედეგების გამოყენება.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზიტის დროსაც გამოჩნდა რომ პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების, ჩატარებული კვლევების ანალიზის, პროგრამის განვითარების პროცესში გამოვლენილი საკითხების გათვალისწინების მიზნით ხდება კურიკულუმში და მის კომპონენტებში საჭირო ცვლილებების განხორციელება.
ჩატარებული ანალიზით და დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:
სტუდენტების და კურსდამთავრებულების რეკომენდაციის საფუძველზე - პრაქტიკის განვითარება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულობის გაძლიერება; უცხოური ენების სწავლების გაძლიერება, დარგობრივი ინგლისურის განვითარება;
პერსონალის მხრიდან ყურადღება გამახვილებული იყო:

- პროგრამის პრაქტიკული ასპექტის გაძლიერებაზე, მეტ პრაქტიკულ მუშაობაზე, ქეისებზე, პრეზენტაციებსა და პროექტებზე.
- ციფრული ტექნოლოგიების შესწავლაზე;

დამსაქმებლები - პროფესიული პრაქტიკის გავლისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების აუცილებლობა; უცხო ენებზე კომუნიკაციის უნარის განვითარება; საოფისე პროგრამების, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის მაღალ დონეზე ცოდნა. დამსაქმებლების მხრივ ინტერვიუს დროს დადასტურდა რომ სხვა მათი მოსაზრებებიც გათვალისწინებულია პროგრამის შემუშავებაში - მაგალითად ტურების დაგეგმვა სასწავლო კურსის ტუროპერეიტინგის სახით, ასევე ეკოტურიზმთან დაკავშირებული საკითხები სასწავლო კურსის "ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა" სახით.
პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების მიერ პროგრამაში გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების რჩევები და რეკომენდაციები - შეისწავლება ინგლისური ენა, პროგრამას დაემატა დარგობრივი ინგლისურის კურსი, პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია მეორე უცხო ენის შესწავლა, სტუდენტს შეეძლება თვითონ გააკეთოს არჩევანი გერმანულ/რუსულ/ესპანურ/ჩინურ ენებს შორის. დარგობრივი საკვანძო სასწავლო კურსების უმეტესი ნაწილი მოიცავს სწავლება-სწავლის პროცესში აქტივობებს, ქეისებს, პროექტებს და პრეზენტაციებს. ასევე, პროგრამა მოიცავს ,,საბაკალავრო პროექტს", რომლის

მიზანია სტუდენტებს გამოუმუშავდეთ არსებული პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების ძიების უნარები. დაწესებულების ხედვით ასეთი პრაქტიკული ხასიათის კვლევითი პროექტის მომზადება სტუდენტს ჩამოუყალიბებს გამოყენებითი ხასიათის პროექტის მომზადების, წარდგენისა და დაცვის უნარ–ჩვევებს, გამოუმუშავებს კვლევის დაგეგმვის, (სამაგიდო და საველე კვლევა) საკუთარი მოსაზრების დასაბუთების, პრეზენტაციისა და კომუნიკაციის უნარებს. ციფრული ტექნოლოგიების შესწავლასთან დაკავშირებით პროგრამის სასწავლო გეგმით ისწავლება სასწავლო კურსები ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში", და ,,ციფრული მარკეტინგი" (შეთავაზებულია როგორც ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსი). დაწესებულების ხედვით შესაბამისი საკითხები ასევე ასახულია სასწავლო კურსში - ,,ტურიზმპერეიტინგი"; პროგრამაში როგორც ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები ისწავლება ,,საქართველოს ისტორია" და ,,საქართველოს გეოგრაფია".
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები; ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები; ○ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი, შედეგების გამოყენების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე შეფასების მექანიზმებია - ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები გაითვალისწინება პროგრამის განვითარებისას და განხორციელებისას;

საგანმანათლებლო პროგრამის განსავითარებლად ასევე გამოიყენება გარე დარგის სპეციალისტის შეფასება. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პორტუგალიელი ექსპერტის, მენეჯმენტისა და ტექნოლოგიების პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტურიზმისა და სასტუმროების მენეჯმენტის პროგრამის ხელმძღვანელის მ.ჟ-ს და კვლევების და დაგეგმვის სამმართველოს უფროსის, კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის პროფესორის გ.ბ.-ს მიერ პროგრამის შეფასებები და გაწეული რეკომენდაციები.

გარე შეფასებით მიღებული შეფასებები და რეკომენდაციები განხილული იყო პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების მიერ. მათი ნაწილი - კერძოდ სასწავლო კურსის დასახელების ცვლილება (ძველი დასახელება ლოგისტიკა ტურიზმში, რეკომენდირებული დასახელება - ტრანსპორტის ინდუსტრია ტურიზმში. აგრეთვე, პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა სასწავლო კურსი "ტურიზმის

ეკონომიკა“ და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსი „დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი“, გადატანილ იქნა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში.

არ მოხდა გარკვეული რეკომენდაციების გათვალისწინება - კერძოდ ტურიზმის საფუძვლების პირველ სემესტრში გადატანა, ასევე უსაფრთხოების საკითხების და ტურისტული სამოგზაურო სააგენტოების დამოუკიდებლად სწავლება, ვინაიდან აღნიშნული საკითხები შეისწავლება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში „ტუროპერეიტინგი“ და „უსაფრთხოება ტურიზმში“, პროგრამის სწავლის შედეგების ავტონომიურობა პასუხისმგებლობის ნაწილში კორექტირება;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები; საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი შეფასების პროცესში ჩართული გარე ექსპერტების დასკვნები.
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ:

საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ წლიურად შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები, საანგარიშო პერიოდში სტუდენტების აკადემიური მოსწრების სტატისტიკა, ინფორმაცია კურსდამთავრებულთა შესახებ, მონაცემები სტუდენტთა პრაქტიკის/სტაჟირების და კვლევითი აქტივობის შესახებ, პროგრამის მატერიალური რესურსი (მათ შორის ინფორმაცია პროგრამის საბიბლიოთეკო რესურსის გაუმჯობესების შესახებ, პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები, აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები, გამოკითხვების საფუძველზე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები, ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზის აღწერა და ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზის საფუძველზე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები და ა.შ. ასევე, ინტერნაციონალიზაციასთან, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. წლიური ანგარიში წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.. შეფასების მიღებული შედეგები გამოიყენება პროგრამის განახლებისა და განვითარების პროცესში. ვინაიდან ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ახალ პროგრამას და იგი ჯერ არ ხორციელდება,

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის შეფასების ანგარიში.

საგანმანთლებლო პროგრამის მონიტორინგი, შეფასება, განვითარება და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესება ხორციელდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით: ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი. აკადემიურ მოსწრებაზე დაკვირვება განხორციელდება დინამიკაში, კერძოდ, ხდება ბოლო სამი წლის შედეგებზე დაკვირვება.. ანალიზის შედეგები და გამოვლენილი საყურადღებო საკითხები ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელებს რეაგირებისთვის, საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ცვლილებების განხორციელების მიზნით. რეაგირება შესაძლებელია გულისხმობდეს, სასწავლო გეგმაში კონკრეტული ცვლილებების განხორციელებას, სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული წინაპირობების შეცვლას, სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების შეცვლას, გამოყენებული ლიტერატურის განახლებას და ა.შ.

პროგრამის განვითარების მიზნით გაანალიზდება პროგრამის კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები. მიღებული შედეგები ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელებს ანალიზისა და რეაგირებისთვის.

პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება იყენებს სტუდენტების მიერ პროგრამის, კურსის განმახორციელებლების და სასწავლო კურსის შეფასებას, საგამოცდო პროცესის შეფასებას, პრაქტიკის კომპონენტის შეფასებას, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევას, ლექტორის სააუდიტორიო მუშაობის შეფასებას და სხვ.

პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება. შეფასდება მათი სააუდიტორიო საქმიანობა. შეფასების პროცესში მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სფეროს ან მომიჯნავე სფეროს სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის წარმომადგენელი. შეფასებას თითოეული შემფასებელი ინდივიდუალურად ახორციელებს. შეფასების დაჯამებული შედეგები და უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მიწოდება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს პერსონალის შეფასება ასევე მოიცავს აკადემიური პეროსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული საქმიანობის წლიურ შეფასებას. მიღებული შედეგების საფუძველზე ტარდება სხვადასხვა ვორქშოფი თუ ტრენინგი.

პროგრამის განვითარებისა და საერთაშორისო თუ ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, ასევე, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ხდება ადგილობრივი და საერთაშორისო მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლა და მათი დადარება უნივესიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ჩატარებული ანალიზი. ბენჩმარკინგისთვის ანალიზისას გამოყენებული იქნა საქართველოში მოქმედი 5 (სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი; შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი;) და უცხოეთის 5 (ვროცლავის

უნივერსიტეტი (პოლონეთი); პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია); ინსბრუკის უნივერსიტეტი (ავსტრია); ქუინსლენდის უნივერსიტეტი (ავსტრალია); ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტი (ბულგარეთი) საბაკალავრო პროგრამა. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე პროგრამას დაემატა სასწავლო კურსები: უცხოური ენები, "მდგრადი ტურიზმი, "ბიზნესის კვლევის მეთოდები"
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; ● ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები; ● დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების გათვალისწინების ანგარიში; ● მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წლიური შეფასების ანგარიში ● სხვა პროგრამებთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევები, მათი ანალიზი და რეაგირება; ● ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება 0 გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა.

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 58

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

დავით სიხარულიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

რუსუდან სეთურიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო ჯოჯუა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნატალია კვაჭანტირაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ზურაბ ჯანხოთელი